პირველი მარცხი

მინსკი. “დინამოს” სტადიონი. 15 აპრილი.

“დინამო” (მინსკი) _ “დინამო” (თბილისი) _ 1:0 (0:0).

მინსკი: ვერგეენკო, ბელოუსი, გირკო, სლოვაკი, სემიონოვი, კურნევი, ბოგოვიცი, ვორონინი, ვასილიევი (ლომაკინი), ე. მალოფეევი, სახაროვი.

თბილისი: გოგია, ძოძუაშვილი, ებრალიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მჭედლიშვილი, ასათიანი, გუცაევი (რეხვიაშვილი), გ. ნოდია, ყიფიანი.

მსაჯი: პ. კაზაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 0:0.

თანაკლუბელთა შეხვედრა დაიწყო მასპინძლების იერიშებით. დაახლოებით 10-15 წუთის მანძილზე ისინი ფლობდნენ საერთო ინიციატივას და განსაკუთრებით _ მინდვრის შუაგულს. აქ მათ 4 ნახევარმცველი ჰყავდათ, რომლებიც ბევრს მუშაობდნენ და აქტიურად ეხმარებოდნენ შეტევის წინა ხაზზე დატოვებულ 2 ფორვარდს _ მალოფეევსა და ვასილიევს. ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა მიეცა კურნევს, მაგრამ გოგიამ მოასწრო და მოიგერია ძნელი ბურთი.

თბილისელებმა თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა და შემდეგ მტკიცედ დაეუფლნენ უპირატესობას. მართალია, მათ სწრაფი მანევრების განხორციელებაში საგრძნობლად უშლიდა ხელს ის, რომ მინსკის “დინამოს” სტადიონის სათამაშო მინდორი ჯერ არაა ბალახით დაფარული და თამაში ფაქტიურად ქვიშიან საფარზე მიმდინარეობდა, მაინც სტუმრებს შეეძლოთ დაწინაურებულიყვნენ ამ პერიოდში. მარჯვენა ფლანგიდან განხორციელდა რამდენიმე სახიფათო იერიში. მე-20 წუთზე გავაშელი კარგ პოზიციაში აღმოჩნდა გუცაევის გადაცემის შემდეგ და დაკარგა ბურთი. შემდეგ გუცაევი თვით გავიდა კარის წინ, გადამწყვეტი დარტყმა კი სუსტად შეასრულა. ტაიმის დასასრულს ყიფიანმა მარჯვნივ გადაინაცვლა, კარგად შეასრულა ფინტი, რის შემდეგ თითქმის პირისპირ დარჩა მეკარესთან. ვერგეენკომ შეძლო ბურთის აღება.

შესვენების შემდეგ მინსკელებმა ნახევარდაცვიდან წინა ხაზზე გადაიყვანეს სახაროვი, თბილისელთა რიგებში გუცაევი შეცვალა რეხვიაშვილმა. თამაში საგრძნობლად გამწვავდა, საერთო ტერიტორიული უპირატესობა სტუმრებს ჰქონდათ.

რამდენიმე ორმხრივი იერიშის შემდეგ თამაშის სიმწვავემ თანდათან მოიკლო, თითქოს, მეტოქეებს თანაბრად უნდა გაეყოთ ქულები, მაგრამ მინსკელთა ერთ-ერთი შეტევისას მოპირდაპირე დაცვაში დაშვებულ იქნა შეცდომა. ლომაკინმა გადააწოდა ბურთი სახაროვს და ამ უკანასკნელის დარტყმის შემდეგ იგი ბადეში აღმოჩნდა _ 1:0. ამ გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი.

ნ. ახალკაცი, სპორტი ოსტატი.
“ლელო”, 18 აპრილი, 1972 წ.